სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება # 45/26

ქ. სამტრედია 25 სექტემბერი 2013 წელი

ერთის მხრივ ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ საკვალის საკრებულო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის [illegible] სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჰიგია" (შემდგომში მომწოდებელი) მისი დირექტორი ციცინო გურეშიძე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დებენ წინამდებარე შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ ხელშეკრულება) შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" _ პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის გაწევას, ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. მომსახურეობა _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოდგენს ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაკვალის საკრებულო -სადეზინფექციო სამუშაოების შესრულება:

CPV კოდი - **90 900 000 – დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს თვეში 45 (ორმოცდახუთი) ლარს,

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის ან საგადასახადო დოკუმენტაციის დამოწმების საფუძველზე

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურეობის გაწევა შემსყიდველის მიერ ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის ან საგადასახადო დოკუმენტაციის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ან საგადასახადო დოკუმენტაციის ხელმომწერი უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაკვალის საკრებულო

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურეობის გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართებზე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 25 სექტემბერი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურეობის გაწევა უზრუნველყოს ხარისხიანად.

ბ) პასუხი აგოს გაწეული მომსახურეობის ხარისხზე.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს [illegible]

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების გაწეული მომსახურეობის ხარისხის კონტროლს

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 9 თვე.

14 მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. საქართველოს მუნიციპალიტეტი სოფელ სანავარდოს მუნიციპალური ბიბლიოთეკა სოფელ სანავარდო ს/კ: 238762763 ს.ს. „საქართველოს ბანკი" - ს ფილიალი ბანკის კოდი: BRTGE22 ანგ. NGE64BO121117205566000 ელ.ფ.: 577255859	შპს „ჰიგია" მის:ქ. წყალტუბო ერისთაველის №16 საიდ/ კოდი- 221293259 ს.ს " საქართველოს ბანკი" წყალტუბოს ფილიალი ბანკის კოდი- BAGAGE 22 ანგ.# GE79BG0000000298681400 T- 599-98-90-38

დირექტორი: / / დირექტორი: ც.გურეშიძე